



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010179042095316

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№1007

16 / თებერვალი / 2016 წ.

ბატონ მამუკა მაჭავარიანს
თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №43,
ტელ.: (+995) 599 53 59 55

ბატონო მამუკა,

თქვენი 2016 წლის 12 თებერვლის განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/2565; 12.02.2016) პასუხად დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2015 წლის 22 დეკემბრის №9429 წერილით გაცემულ დასკვნას „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი
(საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

თამთა ფეტვიაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№9429

22 / დეკემბერი / 2015 წ.

საქართველოს მთავრობის
საპარლამენტო მდივანს,
ბატონ შალვა თადუმაძეს

ბატონო შალვა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამით (რეგისტრაციის №74723) წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლითაც კონკრეტდება, რომ საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია, ნაცვლად „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებისა“, არის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; კანონს ემატება ჩანაწერი, რომ ეროვნული სპორტული ფედერაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა; გარდა ამისა, განისაზღვრება მოთხოვნები ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ და მიეთითება, რომ საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სარგებლობს მაღალი რეპუტაციით და არ არის ნასამართლევ (ან ნასამართლობა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული). კანონპროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული დებულებები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლშია მოცემული, რომელიც არ ითვალისწინებს რაიმე სახის შეზღუდვას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელისათვის წაყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები, რომლებიც, აგრეთვე, არ ითვალისწინებს სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიმართ მსგავსი მოთხოვნების დადგენის შესაძლებლობას.

ზოგადად, ეროვნული სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი პოსტის მიმართ უმაღლესი განათლების ცენზის დადგენა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია; შესაძლებელია, პირს მიღებული ჰქონდეს უმაღლესი განათლება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, იურისპრუდენციის ან ენერგეტიკის დარგში, ხელოვნების სფეროში, სამშენებლო

საქმეში და სხვა, რაც, თავისთავად, არ წარმოადგენდეს სპორტის სფეროში ფუნქციონირებადი კერძო სამართლის სუბიექტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის კვალიფიკაციის განმსაზღვრელ კრიტერიუმს სპორტის ან, თუნდაც, მართვის (მენეჯმენტის) სფეროში.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ისეთი ორგანიზაციების წესდებები, როგორცაა, მაგალითად, ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირი (UEFA)[1], ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია (FIFA)[2] და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტი (FIBA)[3], რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი სპორტის სახეობის მმართველ/ხელმძღვანელ ორგანიზაციებს მსოფლიოსა და ევროპაში, არ აწესებს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების მიმართ ისეთ სავალდებულო კრიტერიუმს, როგორცაა კანდიდატის უმაღლესი განათლება.

ასევე, როცა ამგვარი სერიოზული ცვლილების შემოტანაზე ვფიქრობთ, აუცილებელი იქნებოდა, კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო იმ ევროპული ქვეყნების მაგალითები, სადაც სპორტის სახეობის მმართველ/ხელმძღვანელი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების მიმართ მოცემული ქვეყნის კანონი უმაღლესი განათლების ქონის სავალდებულო კრიტერიუმს აწესებს.

საინტერესო იქნებოდა, აგრეთვე, წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოში ამჟამად არსებული სპორტის შესაბამისი სახეობის მმართველ/ხელმძღვანელი ორგანიზაციების მოქმედი ხელმძღვანელების ნუსხა, იმაზე მითითებით, თუ ვის აქვს და ვის არ აქვს უმაღლესი განათლება. ეს დაგვანახებდა სურათს, რომელიც მოცემული ცვლილების შემოტანის შედეგად დადგებოდა; იგივე სურათი მოითხოვდა ამ ცვლილების რეალური საჭიროების, მისი მოტივისა და მიზნის უფრო მეტ ახსნასა და დასაბუთებას.

2. რაც შეეხება ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ ნასამართლობის არქონის, როგორც სავალდებულო მოთხოვნის, წაყენებას, აღვნიშნავთ, რომ, ზოგადად, ნასამართლობის გამო პირის მიერ სხვადასხვა თანამდებობის დაკავების აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, თუ ასეთი მიზანშეწონილობა არსებობს შესაბამისი სამსახურის (საქმიანობის) ტიპისა და პირის მიერ დასაკავებელი კონკრეტული თანამდებობის შინაარსიდან გამომდინარე (მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რა ხარისხით ასრულებს იგი საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას). მაგალითად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის როგორც მოქმედი, ისე 2017 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი რედაქციებით, მოხელე (რომლის მიმართ, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს გაცილებით უფრო მკაცრი შეზღუდვა ნასამართლობასთან დაკავშირებით) არ შეიძლება მიიღონ საჯარო სამსახურში, თუ ის ნასამართლევი (მეტეც, ნასამართლევი მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის). აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მათ შორის, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული იურიდიული პირის, ხელმძღვანელისთვის თანამდებობის დაკავების დამაბრკოლებელ გარემოებად ნასამართლობის დაწესება დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილობის კრილში შეიძლება ამ საკითხზე მსჯელობა; მსჯელობისას კი მთავარი აქცენტი სპორტში სიჯანსაღის დამკვიდრების პრიორიტეტზე უნდა გაკეთდეს და საკითხის ამ ასპექტს აუცილებლად გავიზიარებდით.

თუმცა, კანონპროექტი ძალზედ შორის მიდის, როდესაც ადგენს, რომ ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი, გარდა ნასამართლევი პირისა, არ შეიძლება, აგრეთვე, იყოს პირი, რომელიც ადრე იყო ნასამართლევი, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობის დაკავების მომენტისათვის მას მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა (კანონის მე-10 მუხლის მე-6² პუნქტი).

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი პრინციპია, რომ გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციის ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. შესაბამისად, გაუმართლებელია, რომ გაქარწყლებულ ან მოხსნილ ნასამართლობას მოჰყვეს კანონპროექტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი და ეს უკანასკნელი გარემოება ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად ჩაითვალოს, მით უფრო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, დასაბუთებული არ არის არათუ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის, არამედ, ზოგადად, ნასამართლობის, როგორც ამავე თანამდებობის დაკავების დამაბრკოლებელ გარემოებად მიჩნევის, მიზანშეწონილობა.

3. კანონპროექტის გარდამავალი დებულებით განისაზღვრება, რომ ეროვნულმა სპორტულმა ფედერაციებმა, რომლებსაც ამჟამად არ აქვთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი, კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უნდა განახორციელონ რეორგანიზაცია და მიიღონ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა. ამასთან, ცვლილების ამოქმედებამდე არჩეულ საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუწარმუნდება უფლებამოსილება, თუ ეს ფედერაცია კანონის ამოქმედებამდე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მოძიებული ინფორმაციის თანახმად, დღეისათვის საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების უმრავლესობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმითაა რეგისტრირებული, თუმცა, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია არ გამორიცხავს სპორტული ფედერაციის ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად რეგისტრაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არიან სუბიექტები სამეწარმეო იურიდიული პირის – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – სამართლებრივი ფორმითაც, რომელთა საფირმო სახელწოდებაში დაფიქსირებულია სიტყვა „ფედერაცია“ ან სიტყვათშეთანხმება „ეროვნული ფედერაცია“ (მაგ.: შპს „მსოფლიოს ო-სპორტის ინ/კონტ. რეგიონული დეპარტამენტი და უნივერსალურ-ორიგინალური საბრძოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ (ს/ნ404398282), შპს „საქართველოს კუდოს ფედერაცია“ (ს/ნ406164207), შპს „საქართველოს შერეული ორთაბრძოლების ფედერაცია“ (ს/ნ440887532), შპს „ქართულ-ევროპული საფეხბურთო ფედერაცია“ (ს/ნ400138720), შპს „ქუთაისის შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია“ (ს/ნ212692095) და სხვა). გასათვალისწინებელია, რომ „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი რედაქციით (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი) განსაზღვრულია, რომ საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო სპორტის შესაბამის სახეობაში და პასუხს აგებს მის განვითარებაზე. ამდენად, ცხადი ხდება, რომ ეროვნული ფედერაცია წარმოადგენს სპორტის კონკრეტულ სახეობაში ქვეყნის სტრატეგიის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ-სამართლებრივ წარმონაქმნს, რაც, თავის მხრივ, უნდა გამორიცხავდეს სპორტის ერთსა და იმავე სახეობაში რამდენიმე ეროვნული ფედერაციის არსებობას. თუმცა, რაიმე სახის საკანონმდებლო შეზღუდვა მსგავსი მიზნების მქონე ორი ან მეტი ფედერაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით არ არსებობს (გარდა იდენტურ საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა, რაც სამოქალაქო კოდექსით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვისაა დადგენილი). შესაბამისად, სუბიექტის რეგისტრაციის ეტაპზე შეუძლებელია, დადგინდეს, კონკრეტული იურიდიული პირი წარმოადგენს თუ არა „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის მიზნების მქონე სუბიექტს, რამაც შესაძლოა, შექმნას სირთულეები იურიდიული პირის რეგისტრაციისა თუ რეორგანიზაციის დროს.

გარდა ზემომითითებულისა, კანონპროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლითაც განისაზღვრა სხვა სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სუბიექტების ვალდებულება, კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში განახორციელონ რეორგანიზაცია და ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის პრინციპებს – „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ უშვებს მეწარმე იურიდიული პირის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად გარდაქმნის (რეორგანიზაციის) შესაძლებლობას. შესაბამისად, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისაგან განსახვავებული სამართლებრივი ფორმით მოქმედი სპორტული ფედერაციების სამართლებრივ მდგომარეობას ვერ მოაწესრიგებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებას ვერ დავეთანხმებით.


[1] http://www.uefa.org/MultimediaFiles/Download/OfficialDocument/uefaorg/WhatUEFAis/02/09/93/25/2099325_DOWNLOAD.pdf

[2] http://www.fifa.com/mm/Document/AFFederation/Generic/02/58/14/48/2015FIFAStatutesEN_Neutral.pdf

[3] http://www.fiba.com/47E0EB16-FDFF-4ED2-8CE0-E4ECC6C9623B/FinalDownload/DownloadId-A5F694B581BB3F8D4805D675C97A65FA/47E0EB16-FDFF-4ED2-8CE0-E4ECC6C9623B/downloads/Regulations/2014/FIBAGeneralStatutes_ApprovedbyExtraordinaryCongress16March2014_English.pdf

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი
მოადგილე



ალექსანდრე ბარამიძე